

## სამუშაო შეხვედრა სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში

ა/წ 19 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის საკონფერენციო დარბაზში სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა გეოლოგთა (ინჟინერ-გეოლოგები, ჰიდროგეოლოგები, ლითოლოგები, სტრატეგრაფები, მინერალოგები) სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიემდვნა მდ. ვერეს ხეობასა და ზოგადად, საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ ბუნებრივ მოვლენებს, ასევე გეოლოგიის დარგში არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებს.



სხდომის მონაწილეებს მიესალმა სტუ-ს რექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი.



შეხვედრის ორგანიზატორმა, სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ნოდარ ფოფორაძემ**,

ზოგადად მიმოიხილა მდ. ვერეს ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენის გამომწვევი მიზეზები და შეეხო გეოლოგიის როლს ქვეყნის აღმშენებლობისა (ეკონომიკური განვითარების) და გარემოსდაცვით (ბუნებრივი საფრთხეები) საკითხებში.



მართალია ქ. თბილისის გეოლოგია წინა წლებში ქართველ მკვლევრთა მიერ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, თუმცა, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა თვალსაჩინო გახადა გარკვეული საკითხების დაზუსტებისა და არსებული მასალების თანამედროვე სისტემებით დამუშავების აუცილებლობა.



თანამომხსენებელმა, **ომარ ქუცნაშვილმა** (გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შპს „ჯეოინჟინირინგი“) მიმოიხილა 13-14 ივნისისა და ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამომწვევი მიზეზები და დასახა პრევენციული ღონისძიებები.



გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვაჟა გელეიშვილმა აღნიშნა, რომ საფრთხე საკმაოდ სერიოზულია, რადგან მდ. ვერეს გარდა, საქართველოში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც მოსალოდნელია მსგავსი სტიქიური მოვლენები“.



გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, პროფესორმა მერაბ ლაპიაშვილმა, ისაუბრა იმის შესახებ, რომ ქართველი სპეციალისტები და ქართული გეოლოგიური სკოლა იმდენად ძლიერია და მაღალი დონისაა, რომ უმჯობესია ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული მსგავსი პრობლემების შესწავლასა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.



გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მევლუდ შარიქაძემ, მიმოიხილა მომხდარი სტიქიური მოვლენების გეოლოგიური საფუძვლები.



გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ვაჟა ჭუმბურიძემ აღწერა მდ. ვერეს ხეობის საინჟინრო-გეოლოგიური სიტუაცია





საკუთარი აზრი დააფიქსირეს გამომსვლელებმა: გეოლ.-მინერ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. გოგი მაღალაშვილმა; გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატმა, პროფ. დავით როგავამ; გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატმა, თარხან თევზაძემ, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატმა, პროფ. ზურაბ კაკულიამ; კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორმა, გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატმა, რევაზ კვატაშიძემ.



გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მდ. ვერეს ხეობაში დატრიალებული კატასტროფული წყალდიდობის უმთავრესი გამომწვევი მიზეზია მდ. ვერეს წყალშემკრებ აუზში ჩადინებული 13-14 ივნისის უხვი ნალექი, რომელსაც დაემატა ბოლო ათი დღის განმავლობაში მოსული წვიმის შედეგად ნიადაგისა და ზედაპირული ქანების გაჯირჯვება და ამ მიზეზით გამოწვეული მეწყერი წყნეთი-ბეთანიის გზაზე, სოფ. ახალდაბასთან და მდ. ვერეს ხეობაში განვითარებული პატარ-პატარა ღვარცოფები.



შეხვედრის მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყანაში არსებული გეოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლა-შეფასებაში. მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობის მიმართ ქვეყნის განვითარების საკითხებში გეოლოგიის დარგის მნიშვნელობის გაძლიერებისა და მისი ფუნქციების სრულყოფის შესახებ.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა უფრო მეტი კონტაქტი და კოორდინაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გეოლოგიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს შორის;

აუცილებელია მუნიციპალიტეტებში გეოლოგიური სამსახურების აღდგენა;

მაღალი რისკის შემცველი ბუნებრივი საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და ა.შ.) მქონე ტერიტორიებზე შესაბამისი აპარატურის დამონტაჟება მიმდინარე გეოდინამიკურ და ჰიდროლოგიურ პროცესებზე მუდმივი მონიტორინგის მიზნით.

პირველ ეტაპზე, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს პროექტი ქ. თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, სტრატეგრაფიული, ლითოლოგიური და გეოეკოლოგიური საკითხების დასაზუსტებლად, რაც ტერიტორიის 1:10 000 მასშტაბით აგეგმვის საფუძველი იქნება.